

საქართველოში უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს გაუმჯობესება ევროკავშირის სტანდარტებისა და მონიტავი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად

განხორციელების ვადა: 15.03.2024 - 14.03.2026

EaP ქვეყნები:

Georgia

ევროკავშირის € 1 187 089

წვლილი:

მთლიანი € 1 187 089

ბიუჯეტი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Ministry of Labour, Social Affairs and Family of the
Slovak Republic, Ministry of Labour and Social
Economy; Labour and Social Security Inspectorate State

პროექტის lio.moh.gov.ge/; info@lio.moh.gov.ge;

ვებ-საიტები:

პროექტის აღწერა:

შრომის უსაფრთხოება ეხება ყველა მოქალაქეს, არ აქვს მნიშვნელობა ისინი მუშაობენ ქარხანაში, ოფისში, მაღაზიაში
ყიდიან საქონელს თუ საავადმყოფოში უვლიან პაციენტებს. ევროკავშირის შრომის კანონმდებლობა და მისი ეროვნულ
კანონმდებლობაში ტრანსპარენცია ქმნის ჩარჩოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხო სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის
როგორც სანარმოებისთვის, ისე დასაქმებული პირებისთვის, რაც წარმოადგენს ჯანმრთელი და პროდუქტიული მუშახელის
არსებობის წინაპირობას. დაძმობილების პროექტი მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს საქართველოს, ევროკავშირის წინაშე
აღებული ვალდებულებების განხორციელებაში, რაც გულისხმობს შრომის უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის
საკანონმდებლო ჩარჩოსთან ეროვნულ კანონმდებლობის დაახლოებას, აღნიშნულის შესახებ ცნობიერების გაზრდას და
მათ აღსრულებას, კერძოდ, ა. შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პირველადი და მეორეული კანონების
ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა; ბ. შრომის ინსპექციისა და სხვა დაინტერესებული მხარეების
შესაძლებლობების გაძლიერება ახლად მიღებული შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის აღსრულების მიზნით; გ.
ცნობიერების ამაღლება შრომის უსაფრთხოების შესახებ ზოგადად მოსახლეობაში და განსაკუთრებით დამსაქმებლებსა და
დასაქმებულებს შორის როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში

მოსალოდნელი შედეგები:

1. შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის კანონმდებლობასთან.
2. შრომის ინსპექციისა და სხვა დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება შრომის უსაფრთხოების
ახლად მიღებული კანონმდებლობის სრულად აღსრულების მიზნით.
3. კერძო და საჯარო სექტორში უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შესახებ ცნობიერების ამაღლება



Funded by the
European Union

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

facebook.com/Labourinspection/